ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა პროექტმა "FinExCoop საქართველომ" და პარტნიორმა ორგანიზაციებმა, კოოპერატივების შემდგომი განვითარების ძირითადი გამოწვევები განიხილეს.

10-დეკემბერი, 2020, თბილისი - ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა ENPARD-ის პროექტმა "FinExCoop საქართველომ", კოოპერატივების თემაზე სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, ძირითადი გამოწვევების და პერსპექტივების განხილვა.

შეხვედრა „FinExCoop" პროექტის ჯგუფის ლიდერმა, კრისტოფ კორდონიემ გახსნა. მან ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს, თუ რაზე უნდა მოახდინონ კონცენტრირება დაინტერესებულმა მხარეება შემდეგი კოოპერატივების განვითარების შეხვედრისთვის, ეს არის, ხელმისაწვდომი ტექნიკური და ინსტიტუციური ინსტრუმენტები კოოპერატივების მდგრადობის უკეთესი განვითარებისთვის, გადასახადებთან და ვალებთან გამკლავება და ასევე, თუ როგორ შეუძლიათ მათ დღევანდელი მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლა.

"FinExCoop-ი ევროკავშირის მიერ ფინანსდება საქართველოში, AFD კი ამ პროექტის ძირითადი განმახორციელებელია. FinExCoop-ი, ENPARD-ის ოჯახის ნაწილია და ეს არის, ის რაც უნდა აღინიშნოს, რადგან ჩვენ, უფრო ძლიერი სინერგიით უნდა ვიმუშაოთ ევროკავშირის სხვა დაფინანსებულ პროექტებთან ერთად„

შეხვედრის დროს დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს და ხაზი გაუსევს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროცესების სამომავლო წარმატების ძირითად მიმართულებებს, რომელთა შორისაც არის, ხელმისაწვდომობა ფინანსებზე და სერვისებზე, ხელმისაწვდომობა ბაზარზე, პოლიტიკის შემუშავება მთავრობასთან და ფერმერებისა და კოოპერატივებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების გამართვა. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მიზანი არის ნათელი და ეს არის სამომავლო ხედვის განსაზღვრა.

შეხვედრის ბოლოს, მონაწილეებმა განიხილეს და ერთამენთს გაუზიარეს წინადადებები შემდეგი სესიისთვის, რომელსაც კოოპერატივებიც დაესწრებიან.

შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, AFD, USAID, Mercy Corps, RDFG, RDA, FAO, IFAD and CARE.

პროექტი „AFD-ENPARD-ის სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხელმისაწვდომობის პროგრამა, მცირე, ნახევრად კომერციული მეურნეობისთვის და კოოპერატივებისთვის" (FinExCoop Georgia) დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და Agence Française de Développement (AFD) მიერ და მას ახორციელებს ფრანკფურტის ფინანსთა და

მენეჯმენტის სკოლა, Mercy Corps-ის, RDFG-ის და Chambre Agriculture de Loiret-ის პარტნიორობით. ოთხწლიანი პროექტი „ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისთვის (FinExCoop Georgia), რომლის ჯამური ბიუჯეტი 4 მილიონი ევროა, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებას მცირე მასშტაბური კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივებისათვის საქართველოში. ეს პროექტი გლობალური პროგრამის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ინკლუზიურობის გაუმჯობესებას და მცირე მასშტაბის კომერციული ფერმერების ბაზარზე შესვლას. პირველი კომპონენტი დაფინანსებულია AFD–ს შვილობილი კომპანიის Proparco–ს მიერ, რომლის ფარგლებშიც, კერძო სექტორის ხელშეწყობისთვის, აგროკრედიტის ხაზი ორ მთავარ საფინანსო ინსტიტუტზე გაიცა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179.5 მილიონი ევრო. მისი ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და სიღარიბის დაძლევაა. მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ENPARD-ის ვებ–გვერდს: www.enpard.ge.

საკონტაქტო პირი:
თინათინ ჭულუხაძე, მერსი ქორფსი, FinExCoop საქართველო, 599 201555, Tichulukhadze@gmail.com